წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი ჯარიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

შაბათი 28 ოქტომბერი 1922 წ.

№ 130 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 130

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნებული თეზისები, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის მომავალ სქემის პერსპექტივებისა. ეს არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

საბჭოთა რესპუბლიკები აქამდე ეწეოდენ სამოქალაქო ომს შინაური და გარეშე ბურჟუაზიის მიმართ და არ ჰქონდათ არავითარი საშუალება, რომ ეზრუნათ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის იურიდიული-უფლებრივ დამოკიდებულების, კონსტიტუციის სახით, ჩამოყალიბებისათვის ეხლა როდესაც დამყარდა შედარებითი სიმშვიდე სამხედრო ფრონტზე, საბჭოთა რესპუბლიკებს მიეცა საშუალება როგორც სამეურნეო ფრონტის გამაგრება-გაძლიერებისათვის, ისე რესპუბლიკებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების უფლებრივი სახის მიცემისა. სამოქალაქო ომის პროცესში უკვე დამყარდა ფაქტიურათ საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი. მათი როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ინტერესები გაერთიანებულია. კაპიტალისაგან განთავისუფლებისთვის მებრძოლ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ კლასების ერთად ერთი უმთავრეს მიზანს შეადგენს მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის გამაგრება და როგორც ერთი კომპაქტიური ძალა დაუპირდეს მოწინააღმდეგეს.

ეკონომიურსა და პოლიტიკურ დარგში მათ შორის რაიმე განსაკუთრებელი ინტერესების წამოყენება ყოვლად წარმოუდგენელია შეერთებული ძალით ისინი ამყარებენ მშრომელთა კლასის ინტერესების დამცველ სოციალურ ურთიერთობის ფორმას, რომელიც ყოველი ერის მშრომელი კლასის ეკონომიურ ცხოვრებას ერთნაირათ უზრუნველ ყოფს.

ზემოაღნიშნულ თეზისებში მოხსენებული პერსპექტივები ჰგულისხმობს საბჭოთა რესპუბლიკების იურიდიულ ფორმაში ჩამოყალიბებას კავშირის სახით. აქამდე დაარსებული იყო რუსეთის დიდი ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია და ცალკე რესპუბლიკები—უკრაინისა და ბელორუსიისა. მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტიური კავშირი უკვე არსებობდა, მხოლოდ ეხლა მათ მიერ უნდა შეიქმნას ისეთი იურიდიული სახის კონსტიტუცია, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

აქამდე ისტორიაში, ბურჟუაზია ქმნიდა ფედერატიულ კავშირს ერთა შორის, მაგრამ ფაქტიურად იქ არ იყო დაცული პატარა ერების და მისი ხალხების ინტერესები.

იქ მბრძანებელი იყო მპყრობელი ცენტრალური სახელმწიფო, ხოლო პატარა ერები კი, ყურ-მოჭრილნი მონები იყვნენ მისი.

ფორმალურად თითქოს ბურჟუაზიული ფედერაცია ნიშნავდა ერთა სწორუფლებიანობას, ფაქტიურათ კი, თვალის ასახვევათ იყო მოგონილი, რომ პატარა ერები უფრო მოხდენილათ დაემონებინათ. ასეთი ფედერაცია ვიცით—ამერიკისა, შვეიცარიისა, გერმანიისა და სხ.

საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია სულ სხვა მიზანი აქვს. აქ კაპიტალისაგან განთავისუფლებული მშრომელი ხალხი თავისი ნებით უკავშირდება დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს: ისინი გარსშემორტყმულნი არიან ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან ეკონომიური და სამხედრო ბლოკადის რკალით და ამისათვის თავდაცვისა და ეკონომიურად არსებობის გაძლიერების მიზნით აერთიანებენ აღნიშნულ ფრონტების გამომსახველ სათანადო ორგანოებს.

ადგილობრივ დამახასიათებელი თვისების ორგანოები დატოვებულ იქნება ცალკე რესპუბლიკანურ მმართველობის ხელში.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი იკვრება ყოველ ცალკე რესპუბლიკის თავისუფალი ნების ნიადაგზე თუ ოდესმე რაიმე მოსაზრებით მოინდომებს რომელიმე რესპუბლიკა საერთო კავშირიდან გამოსვლას, მას ექნება სრული უფლება თავისი სურვილი შეუზღუდველათ შეასრულოს და კავშირიდან გამოვიდეს.

ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან აქ მჩაგვრელთა კლასი კი არ ხელმძღვანელობს და ბატონობს საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მუშათა კლასი, დამცველი მშრომელთა სამართლიან უფლებისა.

მომავალი კანსტიტუცია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახით იქნება წინამორბედი სახე მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა.

დღევანდელი ცნობები

— საფრანგეთის ჯარებსა და მაროკოს მცხოვრებთა შორის მოხდა შეტაკება.

— ლიუდენდორფის დეკლარაციაში ამერიკის წინააღმდეგ სხვათა შორის ნათქვამია: „არ არის ხალხი უფრო ვიწრო მსოფლმხედველობის მატარებელი, ვინემ ამერიკელებიო.“

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

— გერმანიიდან დაბრუნებულმა რ. ს. ფ. ს. რ. სავაჭრო წარმომადგენელმა სმოლიაკოვმა როსტას თანამშრომელს განუცხადა: „საბჭოთა მთავრობის მიერ ვოლფის ფირმასთან დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს, პირველ მსხვილი ზომის სავაჭრო კონცესიას. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში დაიდოს მთელი რიგი ანალოგიური ხელშეკრულებებისა.

— შაქრის ფასის ზრდასთან ბრძოლის მიზნით ცენტროკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას შაქრის ტრესტთან, რომ გადასცეს კოოპერაციას მცხოვრებლებზე გასაყიდათ 5 მილიონი ფუთი შაქარი.

— გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ჩვენი გულწრფელი სურვილია იაპონიასთან მივაღწიოთ ფორმალურ შეთანხმებას.. მაგრამ იაპონიის იმპერიალისტების მადა იმდენად დიდია, რომ შეთანხმება ახლა შეუძლებელია. იაპონიას სურს შეინარჩუნოს და ანექსია უყოს სახალინის ჩრდილოეთ ნაწილს რაც გააბატონებს იაპონიას ამურის ნაოსნობაზე. ამაზე ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ჩინეთში მომხდარმა უკანასკნელმა ამბებმა, იაპონიის მომხრე ჯონ ლინის დამარცხებამ—გაართულა იაპონიის დამოკიდებულება ჩინეთთან იაპონია აძლიერებს თავის გარნიზონს მანჯურიაში და თავს უყრის თეთრგვარდიელებს. იაპონელების მიერ სანაპიროების დატოვება არის ისეთი ნაბიჯი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის აღსადგენათ. ვლადივოსტოკიდან იაპონელების ევაკუაციამ უარყოფითი ხასიათი მიიღო ვლადივოსტოკი ფაქტიურად „ხულიგნების“ და მოყაჩაღე ხალხის ხელში იმყოფება.

სხვა და სხვა ამბები·

საფრანგეთი.

— საფრანგეთის კომპარტიის ახლად არჩეულმა პრეზიდიუმმა დანიშნა გენერალურ სეკრეტრად ფროსარი და „იუმანიტეს“ მთავარ რედაქტორად კაშენი

რუმინია.

— „როტე ფანე“ იტყობინება, რომ ამ დღეებში ადგილი ჰქონდა საფრანგეთის სამხედრო ნაწილების შეტაკებას მაროკოელებთან და ფრანგებმა დაჰკარგეს 10 მოკლული და 10 დაჭრილი.

ამერიკა.

— ვინაიდან მაღალი სატარიფო განაკვეთის გამო წარმოებამ ვერ შესძლო თავისი ხარჯების დაფარვა სამთამადნო საზოგადოება „ფენიქსი“ იძულებული შეიქმნა შეემცირებია წარმოება და დაითხოვა 16.000 მუშა.

გერმანიაში.

— გერმანიის რეიხსტაგის სხდომების გადადების გამო, მთავრობის და კოალიციონური კრიზისი ჯერ-ჯერობით არ მოხდება. ამ ჟამად საზოგადოთ ამის შესახებ არ ლაპარაკობენ. განხეთქილების მიზეზი შეიძლება იქნეს მხოლოდ უცხოელ განძეულებათა საკითხის განხილვა.

— „მატენი“ ათავსებს ლიუდენდორფის დეკლარაციას, რომელიც მან გაუკეთა, ნიუორკ გერალდის“ პარიზის კორესპონდენტს: „ჩვენ გერმანელები ვიბრძოდით ჩვენი ტომის პირველობისათვის, ამერიკელები კი იბრძოდენ ოქროსათვის. თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ თქვენს ამერიკელებს, რომ ქვეყანაზე არ არის ხალხი, უფრო ვიწრო მსოფლ მხედველობის მატარებელი, ვინემ ამერიკელები. ჩვენ შევსძლებთ უმიზოდ თავის გატანას, რაც შეეხება განიარაღებას, სრულიად გულუბრყვილო უნდა იყოს ერი, რომ იფიქროს ამაზე. თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ კიდევ თქვენს ამერიკელებს, რომ განიარაღების საკითხის შესახებ კონფერენციებმა ის შედეგი მოიტანა, რომ საზღვაო ომი უფრო ძვირი დაჯდება და ბრძოლის საშუალებათა მხრივ ზოგიერთი შესწორებანი მოგვცა.

— რაც შეეხება გერმანიის ხალხს, ეს ხალხი მოესწრება მონარქიის დაბრუნებას, მაგრამ სად და როდის მე არ ვიცი.

გაფიცვა ესენში.

მოსკოვი, 27 ოქტ. გაფიცვა ესენში კრუპის ქარხნებში თანდათან ფართოვდება. გაფიცულია უკვე რამოდენიმე ათასი კაცი. ქალაქში ხდება მუშების დემონსტრაციები.

ჰანოვერი. 26 ოქტ. საკონტრიბუციო კომისია ბერლინში ჩასვლის შემდეგ გამართავს თათბირს გერმანიის ბანკების და მსხვილ მრეწველების წარმომადგენლებთან.

აჯანყებები აღმოსავლეთ გალიციაში.

— აღმოსავლეთ გალიციაში იფეთქა ნამდვილმა გლეხურმა აჯანყებამ. უკრაინელმა გლეხებმა დასწვეს 90 პოლონური მამული

— ჩერნოვიციდან იტყობინებიან, რომ არეულობა აღმოსავლეთ გალიციაში გადაიქცა გეგმით აწყობილ გლეხურ აჯანყებად, ნაციონალურ ნიადაგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მოღვაწეობა

ჩვენს წითელ ჯარს.

ვით ბნელ ღამეში მთვარე ნათელი
ისე გამოჩნდით მუშის შვილებო;
გსურთ შეაერთოთ ქვეყანა მთელი,
რევოლიუციის ქარში ზრდილებო.
თქვენ შრომის დროშა ააფრიალეთ,
როს გადმოეშვით ბრწყინვალე სვეტათ;
და მუშის გული აათამაშეთ
ექმენით მარად რკინის ბერკეტათ.
ძმებო! ერთმანეთს მივცეთ ჩვენ მხარი,
და შევაერთოთ მთელი ქვეყანა;
მომავლისათვის შევიქმნეთ მძლავრნი,
რომ შიშით ძრწოდენ მტრები ყველგანა.

მიტრო მინაშვილი.



ჩვენს წითელ ჯარში

ჩვენი წ. არმიელები სოფლად

15 ოქტომბერს დილით მე-2-რე ქართული შეერთებული საარტილერიო დივიზიონის აგიტკოლეგიის მიერ მოწყობილი იყო მიტინგ-კონცერტი. დაიდგა აგრეთვე ერთ მოქ. რევ. პიესა „რევოლიუციის რიჟრაჟზე“ და „აღთქმულ ქვეყნისაკენ“ სანდრო შულისა.

მიტინგი გაიხსნა სოფ. ხაშმში. დაესწრო დიდძალი გლეხობა. მოხსენება გააკეთა მენშევიკების დემაგოგიის გარშემო ამხ. ბოკერიამ. და ბოლოს წაკითხული იქნა გურული სცენები ხალხი დიდი კმაყოფილი დაიშალა.

ტრ. ბოკუჩავა.

მოხსენებები 1-ლეგიონის 1-ლ ათასეულში

29 სექტ შესდგა 1-ლ ლეგიონის 1-ლ ათასეულის წ.-არმიელთა საერთო კრება.

მოხსენება გააკეთა ამხ. ელიაშვილმა ახლო-აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. მან მდაბიური ენით და ვრცლად გააცნო დამსწრეებს ოსმალეთ საბერძნეთის ომის მზეზი და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების პოზიცია. დაასურათა აღმოსავლეთის ხალხთა უნუგეშო მდგომარეობა გაუმაძღარი ბანკირების ხელში. მოხსენება დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი და გათავების შემდეგ იქნა გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. კაზაროვმა. დამდგარი ტბების მავნე მნიშვნელობის შესახებ, რომელნიც გამომწვევნი არიან ციებ-ცხელების და სხვა ავმდყოფობის და ახსნა თუ, რა დიდი სასარგებლო მნიშვნელობა ექნება მათ ამოშრობას მშრომელი ხალხისათვის.

მოხსენებებმა გამოიწვია წ.-არმიელთა ცოცხალი ინტერესი და კრების დახურვის შემდეგ გაიმართა ჯგუფ-ჯგუფად კამათი აღძრული საკითხების შესახებ.

ბ. დიდიშვილი.

ცოტა რამ ჩვენი ცხოვრებიდან

ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის უმწყობრო ასეულის საქმე კარგად არის დაყენებული. ნაწილი არმიელებისა წარსულ თვეში იყვნენ თავის სათიბად გაგზავნილნი ველზე, რომ ზამთრისთვის მოემარაგებიათ, თუმცა ამ მუშაობის დროს ზოგი-ერთი წითელ არმიელნი ციებით ავადაც გახდნენ, მაგრამ ახლა თითქმის ყველა ჯანსაღად არიან.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი რამ: წით. არმიელები ამხანაგურ განწყობილებაში არიან უფშემადგენლობასთან, მათ არ აკლიათ არც ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და არც საჭმელ სასმელი. წითელ არმიელები ხშირად იგზავნებიან აბანოში სუფთა საცვლებით. აღსანიშნავია აგრეთვე ზემდეგის ამხ. ლეჟავას ენერგიული მუშაობა წითელ არმიელებში, რისთვისაც არმიელებიც პატივს სცემენ მას.

პოლიტხელი ბურდულაძე

მესამე ლეგიონის საერთო კრება გმობს ყველა ინფორმაციის ავტორს „ისას“

მესამე ლეგიონის საერთო კრებამ მოისმინა, რა მოხსენება ამხ. კალანდაძისა გაზ. „წითელ არმიელში“ № 96 „ისას“ ფსევდონიმით მოთავსებულ შენიშვნის შესახებ, რომელიც ეხება ლეგიონის თავს ამხ. **კუპრაშვილს** და სამხკომს ამხ. ხუროძეს, ადგენს, რომ ეს შენიშვნა ყალბია და სიმართლეს მოკლებული, რადგან ზემო-ხსენებული სამხკომი და ლეგ. თავი ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკებათ ითვლებიან ლეგიონში და მის ჯეროვან დამაგარ ნიადაგზე დასაყენებლათ არ იშურებდნენ და არ იშურებენ დღესაც, თავის ძალას და ენერგიას. მათ შრომას და მაცადინეობას დიდი ღვაწლი მიუძღვის ლეგიონის გაჯანსაღებისათვის. „ისას“ მიერ მოთავსებული შენიშვნა კი ყოვლად უსინდისო და პროვოკაციული ხასიათისაა, რისთვისაც მას („ისას“) გამოეცხადოს ზიზღი და გულის წყრომა მთელი ლეგიონის შემადგენლობისა, მით უმეტეს, რომ ისედაც არ არის ღირსი ატაროს წმიდა სახელი წითელ არმიელისა. ყოველ შემთხვევაში ამ საქმის გამოსაძიებლად კრება ნიშნავს კომისიას შემდეგი პირებისაგან: 1. ამხ ცაგარეიშვილი 2 ამხ. გაბუნია და 3. ამხ. ჩუბინიძეს, რომლებმაც საქმის გამორკვევის შემდეგ ავტორი უნდა მისცეს პასუხის გებაში.*)

კრების მდივანი: **გაბუნია.**

---

*) რედაქცია სწუხს, რომ „ისას“ მიერ ის იქმნა შეცდომაში შეყვანილი და ამნაირად ყალბი ინფორმაციის გაშვება მოუხდა გაზეთში.

რედაქცია.

მადლობის ღირსია.

მეორე საარტილერიო დივიზიონის 1-ლი საველე ბატარეის ჰყავს სამნეო ნაწილის უფროსი ამხ. **დავით ვაჩნაძე**, რომლის ენერგიული შრომაც დაფასებულია წითელ არმიელებისა და უფშემადგენლობისათვის.

მისი ბატარეის წითელ არმიელები ყოველ მხრივ დაკმაყოფილებულნი არის. ყოველთვის, როცა კი აკლია მის არმიელებს რაიმე, ისე არ დაბრუნდება ნაწილში, სანამ არ მიიღებს მას, რაც საჭიროა...

ასეთი სამნეო ნაწილის უფროსი ჭეშმარიტად, რომ ღირსი არის ჩვენი მადლობისა.

ალიკო.

გოროტკაა!

1-ლ ლეგიონის მეფურნე კარაპეტ ჩახმახიანცი სისტემატიურ ძარცვას ეწევა. ჩვენ კუთვნილ პურიდან იპარავს და საგანგებოთ დამალულ ფარდააფარებულ ტახტის ქვეშ აქვს პატარა სასწორი, რომელზედაც უწონის და ჰყიდის მუშტრებზე.

ამის შესახებ განცხადებები შეტანილია ჩემს მიერ: 1) პოლიტ-განყოფილებაში, 2) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, 3) ლეგიონის თავთან, 4) სამხკომთან და 5) ბიურო-კოლექტივთან.

მაგრამ. დღემდე ვერაფერი გავიგეთ, თუ რატომ არ იღებენ ზომებს ამ მარცვლის წინააღმდეგ.

აღსანიშნავი კიდევ ერთი რამ: პური ხომ პირდაპირ ტალახია!

სახურ. საწყ. მუდმივი კონტრ.
ა. ჟუჟიევი.

სად არის რისხვა?

მცვ-მხლებელთა ათასეულში წით. არმიელები პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

საქმე უკეთესად იქნებოდა დაყენებული, რომ ზოგი უფშემადგენლობა გვივარგოდეს.

არ ვიცით რატომ ჰქვიათ მათ ოფიცრობა - მორიგეობის დროს ტუჩნიკზედ ვარჯიშობენ.

შინაური წესრიგი საუცხოოა: მიმართვა შევბულებისათვის არ გჭირდება, გუნდის უფროსი (ყანჩაველი) თითონ ანაწილებს, ქრთამს თუ მისცემ წითელ არმიელს ამხ. კაპანაძეს სამი დღის შევბულებაში 2 ფუნტი ლობიო სთხოვა.

მეორე ამხანაგი დააბრუნა შევბულებიდან — „თქვენ, კახელებმა, პურ-მარილი არ იცითო.“

სად არის, სად—რისხვა რევოლიუციისა?

დუბლიკატი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა ჩვენს ჯარში.

19 ოქტომბერს შესდგა მე-3-მე ლეგიონის მე-2-რე ათასეულის კომ-უჯრედის მორიგი კრება. დაესწრო დიდი უმრავლესობა კომუჯრედის წევრების. თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. **მაისაია** მდივნათ **დევიძე.**

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები.

1. კომპარტიის ისტორიის შესახებ.
2. მიმდინარე კითხვები: პარტ-დისციპლინა.

კომპარტიის ისტორიის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **გუმბარიძემ**, რაიც კრების მიერ მოსმენილ იქმნა გულდასმით მოხსენების ირგვლივ წამოჭრილ კითხვებზე მომხსენებლის მიერ იქმნა პასუხი გაცემული, რითაც კრება დაკმაყოფილდა.

პარტ დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მაისაიამ.** კრებამ მოისმინა რა მოხსენება პარტ-დისციპლინის შესახებ გამოსთქვა შემდეგი: წესიერების დამრღვევ ამხ. წ. არმიელებს გამოეცხადოს საყვედური კომ-უჯრედისაგან.

თავმჯდომარე: **მაისაია.**

მდივანი: **დევიძე.**

ჟუმბარა

დეპეშა № ნაწილიდან.

რომ გაიწმინდოს № ნაწილი
მელა-ტურებით,
საჭირო არის დაზვერვა
ნელა... ყურებით...

აქ შეამჩნევთ: ვინ არ გინდა
შემოპარული...
რაღაც „ამბებით“ დაძვრებიან
ყველგან ფარულად.

და მოგვაბეზრეს უთავბოლო
თავის ჭორებით...
(ვგონებ აჯობებს, რომ ავბარგოთ
„ინგლისს“ ჯორებით!)

აქ საჭიროა ჩვენ გაზეთის
ფხიზელი შველა, ულვთოდ მყისვე
რომ თვის მხილებით,
დასცოცხოს ყველა:

ვრანგელ-მუსავატ-მენშევიკი
და დაშნაკელი.
(ვსთხოვთ მეყუმბარეს, რომ დასტაცოს
მსწრაფლ დაშნას ხელი!)

ზზზუუუ!

---

*) მზათ არის დაშნა ყოველთვის
აუწვავს ზურგებს მაგათა.
ის რომ შეტევით გადმოვა—
შენ მანდეთ დასცხე მაგრათა.

შვილი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი—ა. ქუთათელაძე.